ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ
საკითხთა, განათლების, კულტურისა და
ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის
ოქმი № 7

ქ. ლანჩხუთი

24.06.2024 წელი

16:00 საათი

სხდომას უძღვებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **კარლო კვიტაიშვილი.**

სხდომას ესწრებოდა კომისიის წევრები: ნინო მშვიდობაძე, დარეჯან ბურჭულაძე, ლოლიტა ურუშაძე, ელისო ჭიჭინაძე, რეზო კვერენჩხილაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის, ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფროსო **მაია აფხაზავა,** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში: **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ჭანტურიშვილი.**

სხდომის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფებისა და შეღავათების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კარლო კვიტაიშვილი/

2. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო

გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფებისა და შეღავათების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის, ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფროსმა **მაია აფხაზავამ** და განმარტა, რომ მუნიციპალიტეტმა შეიძინა 5 ერთეული სამგზავრო ავტობუსი, რომლებიც იმოძრავებს კონკრეტულ მარშრუტებზე. დადგენილების პრეამბულაში მითითებული ნორმატიული აქტების შესაბამისად, აუცილებელია საკრებულომ განსაზღვროს სამგზავრო ტარიფები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შემუშავდა დადგენილების პროექტი. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს სამგზავრო პლასტიკური ბარათების დამზადებასა და გაცემას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე შეღავათებით სარგებლობის უფლების მქონე პირებად განისაზღვრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეები 17 (ჩვიდმეტი) წლის ასაკამდე. უფლებამოსილი სუბიექტის მიერ გაცემული ბარათის დაზიანების ან დაკარგვის, თუ ორივე შემთხვევაში წარმოიშვა ახალი ბარათის გაცემის აუცილებლობა, ბარათის აღდგენის თხოვნით ბარათის გამცემს მიმართავს ბარათის კანონიერი მფლობელი და ბარათის აღდგენისთვის მასვე ეკისრება ბარათის გამცემის ანგარიშზე შესაბამისი თანხის გადახდა. ამ დადგენილების მე-2 მუხლით გათვალისწინებული პირთა კატეგორიისათვის განკუთვნილი სამგზავრო პლასტიკური ბარათის სხვა პირთა მიერ მგზავრობისათვის გამოყენება ან ამ ბარათის სხვა პირზე ნებისმიერი ფორმით გადაცემა, რასაც მოჰყვა არაუფლებამოსილი პირის მიერ ბარათით სამგზავრო ბილეთის აღება, ექვემდებარება სამართალდამრღვევი პირის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაჯარიმებას უფლებამოსილი პირის მიერ, რომელიც დაუყოვნებლივ იღებს გადაწყვეტილებას შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე პირის/პირების სამგზავრო პლასტიკური ბარათის სამგზავრო ფუნქციის დაბლოკვის შესახებ და უზრუნველყოფს უფლებამოსილი სუბიექტისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას ბარათის დაბლოკვის მიზნით. ბარათის სამგზავრო ფუნქციის დაბლოკვა ხორციელდება 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადით, ხოლო იგივე ქმედების განმეორებით ჩადენა გამოიწვევს ბარათის სამგზავრო ფუნქციის დაბლოკვას 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის ვადით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, ბარათი ექვემდებარება უფასო განბლოკვას. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“ მოთხოვნის საფუძველზე, მოთხოვნის მიღებისთანავე (მაგრამ არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა) უზრუნველყოფს ბარათის დაბლოკვას. ამ დადგენილების მე-2 მუხლით განსაზღვრული შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე პირებზე სამგზავრო პლასტიკური ბარათის გაცემა/აღდგენა ხორციელდება მათ მიერ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“-სთვის მიმართვის საფუძველზე. ამ დადგენილების მე-2 მუხლით განსაზღვრული შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით სარგებლობის მიზნით გასაცემი სამგზავრო პერსონიფიცირებული პლასტიკური ბარათის მისაღებად წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი სტატუსისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებული ტარიფები ჩაირიცხოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“-ს საბანკო ანგარიშზე.

მიღებული შემოსავალი მოხმარდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის 2 და 3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების უზრუნველყოფას. არასამეწარმეო (არაკომერციულმა) იურიდიულმა პირმა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი" ექვს თვეში ერთჯერ უნდა უზრუნველყოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისათვის ინფორმაციის მიწოდება ფაქტობრივად გადაყვანილ (მათ შორის, შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე) მგზავრთა რაოდენობისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი"-ს საბანკო ანგარიშზე მგზავრობის საფასურიდან შემოსული თანხების შესახებ.

მარშრუტებზე სამგზავრო ტარიფები განისაზღვრა შემდეგნაირად:

ლანჩხუთი - გრიგოლეთი - წყალწმინდა - 2 ლარი

ლანჩხუთი - ჯაპანა - 1 ლარი

ლანჩხუთი - ეწერი - 1 ლარი

ლანჩხუთი - აცანა - მამათი - 2 ლარი

ლანჩხუთი - ჩოჩხათი - გულიანი - 2 ლარი.

მაია აფხაზავამ აგრეთვე აღნიშნა, რომ შესაბამისმა სამსახურმა, რომელიც კურირებს ამ თემას, მაქსიმალურად იმუშავა, რომ ეს პროექტი მორგებული ყოფილიყო მოსახლეობაზე. 3 თვის შემდეგ კომისია გააკეთებს ანალიზს და დაიდება დასკვნა, რის შემდეგაც შეიძლება შეღავათებიც შეიცვალოს. მისი თქმით, სუბსიდირება აუცილებლად იქნება საჭირო, ხოლო რაც შეეხება ტრანსფერს, ამ ეტაპზე, ამაზე საუბარი არ არის.

კომისიის თავმჯდომარე, **კარლო კვიტაიშვილი** დაინტერესდა, დაემატება თუ არა აკეთის ზონაში ერთი ტრანსპორტი, რაზეც **მაია აფხაზავამ** უპასუხა, რომ მაქსიმალურად ცდილობენ დაემატოს და არის დაპირებაც.

კომისიის წევრმა **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ რადგანაც მუნიციპალიტეტს უკვე ჰყავს კომფორტული ავტობუსები, კარგი იქნება ავტოსადგურიც იყოს თანამედროვე ტიპის.

კომისიის წევრმა **ნინო მშვიდობაძემ** აღნიშნა, რომ არის არაჩვეულებრივი პროექტი და მოხარული იქნება თუ დაემატება ერთი წრიული: ლანჩხუთი - გვიმბალაური - ჯუნეწერი - მაჩხვარეთი - ორაგვეს მიმართულებით.

კომისიის თავმჯდომარემ **კარლო კვიტაიშვილმა** აღნიშნა, რომ მადლიერია იმ სიტუაციის, რაც ქვეყანაში და კერძოდ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ხდება. მისი თქმით, მიმდინარე თვის 29 რიცხვში უნდა გაფორმდეს ხელშეკრულება სპორტ სკოლის მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით, ასევე, მუნიციპალიტეტმა უკვე შეიძინა 2 ერთეული ტრაქტორი, ეგრეთ წოდებული JSP და ამ პატარა მუნიციპალიტეტს რაც ესაჭიროება, ნელ-ნელა მოგვარდება ყველა პრობლემა და ლანჩხუთი კიდევ უფრო და უფრო გალამაზდება და უკეთესი გახდება.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

სხვადასხვა საკითხები.

კომისიის წევრმა **დარეჯან ბურჭულაძემ** ისაუბრა უპატრონო ძაღლების შესახებ და აღნიშნა, რომ ეს პრობლემა დიდი ხანია არსებობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში და რაღაც გამოსავალი აუცილებლად უნდა მოიძებნოს. ძაღლები ზაფხულის ცხელი დღეების დადგომის პარალელურად გააქტიურდნენ. მისი თქმით, უკვე რამდენიმე ადამიანი, უმრავლესობა პენსიონერია დაკბენილი. მოსახლეობა გამოთქვამს სამართლიან საყვედურს. გარდა აგრესიულობისა, ძაღლების უმრავლესობა დაავადებულია „ქეცით". მას აინტერესებს, გაძვალტყავებული, მშიერი, დაავადებული ძაღლების ყოფნა რამდენად არის მისაღები საზოგადოებრივ ადგილებში და ვინ არის პასუხისმგებელი ადამიანების უსაფრთხო გადაადგილებაზე.

კომისიის წევრმა **ნინო მშვიდობაძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს უმრავლესობის წევრ ქალბატონებს სურვილი აქვთ შეხვდნენ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შემოქმედ ქალბატონებს და მოისმინონ მათი პრობლემები.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე: /კარლო კვიტაიშვილი/

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა,
განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის №7 სხდომის
დასკვნა

ქ. ლანჩხუთი

24.06.2024 წ.

2024 წლის 24 ივნისს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებები სმარშრუტებზე მგზავრობის ტარიფებისა და შეღავათების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი: 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფებისა და შეღავათების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

2. წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2024 წლის 25 ივნისის სხდომას განსახილველად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე: /კარლო კვიტაიშვილი/

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი

24.06.2024 წელი
16:00 საათი

სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1. კარლო კვიტაიშვილი	15⁵⁵	
2. ნინო მშვიდობაძე	16:00	
3. დარეჯან ბურჭულაძე	15:55	
4. ლოლიტა ურუშაძე	15⁵⁵	
5. კარლო წილოსანი	ა.ი. ესწრებოდა	
6. ირმა მგელაძე	ა.ი. ესწრებოდა	
7. მაკა მშვიდობაძე	ა.ი. ესწრებოდა	
8. გოჩა ჯანაშია	ა.ი. ესწრებოდა	
9. რევაზ კვერენჩხილაძე	15⁵⁵	
10. ელისო ჭიჭინაძე	15⁵⁵	